# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

30 ივნისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№26 (9236 )
ფასი 40 თეთრი


## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**24 ივნისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე *დავით ზაალიშვილი.***

**დეპუტატებმა იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

**მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის სასპორტო სკოლა“-ის დირექტორის *ელიზბარ სტეფნაძის* ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე მოისმინეს სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწის *თედო მელიქიძის* ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**განიხილეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის *ზურაბ კორძაიას* ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შესახებ.**

**იმსჯელეს მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობის და ტურიზმის განყოფილების ანგარიში ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) მიერ 2021-2022 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ.**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.**

## ჩამოსხმული ქარხანა მუშაობას შეუდგა



**შრომითი** მედიაცია „IDS ბორჯომი-საქართველოს“ მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის შეთანხმებით დასრულდა. წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად დასაქმებულები ქარხანაში მუშაობას განაგრძობენ და „IDS ბორჯომი-საქართველო“ სრულფასოვნად ფუნქციონირებას უახლოეს პერიოდში აღადგენს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** გადაწყვეტილებით, მოლაპარაკების პროცესში პირადად ჩაერთო მისი წარმომადგენელი, საქართველოს მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლერი ბარნაბიშვილი.** როგორც პრემიერმა განაცხადა „IDS ბორჯომი-საქართველოს“ დასაქმებული თითოეული თანამშრომლის უფლების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება. შეთანხმებას მხარეებმა ხელი ბორჯომში მოაწერეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი **ბექა ფერაძე** და სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი.**

## შემეცნებითი ხასიათის ტრენინგები



**„სამოქალაქო დაცვის სისტემის გაძლიერება მოხალისეთა შესაძლებლობების გაძლიერების გზით“** - ამ სახელწოდებით ხორციელდება „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა“ და „ავსტრიის წითელი ჯვრის“ მიერ ევროკომისიის პროექტი, რომლის მიზანიც გახლავთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მოხალისეობის სულისკვეთებასა და კულტურის განვითარებას სამოქალაქო დაცვის სფეროში.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა წითელი ჯვრისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთობლივი მოხალისეთა ჯგუფები ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. სწორედ ამ მოხალისეთა გუნდებმა მიიღეს ოთხი დღის მანძილზე საველე პირობებში როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნა (ერთობლივი ტრენინგები და სიმულაციური ვარჯიშების მეშვეობით), წინასწარ დაიგეგმა და არსებული მოხალისეთა ჯგუფები საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან იმ საქმიანობებში, რომელიც უშუალოდ ეხება კატასტროფების დროს მზადყოფნას, პრევენციას, რეაგირებასა და აღდგენას.

16 მაისს კი მოეწყო საჩვენებელი (ე.წ. შემაჯამებელი) ღონისძიება, სადაც ორივე მუნიციპალიტეტში არსებულმა მოხალისეთა ჯგუფებმა მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირება მოახდინეს მოწვეული აუდიტორიის წინაშე.

რამდენიმე დღის წინ კი, პროექტის ფარგლებში ბორჯომელი მოხალისეებისათვის სამი დღის მანძილზე საქართველოს წითელი ჯვრის თანამშრომლებმა, პროფესიონალმა ტრენერებმა, საინტერესო ტრენინგები ჩაატარეს, რომელიც ეხებოდა საგანგებო სიტუაციების დროს - „ფსიქოლოგიურ პირველად დახმარებას“, „სამედიცინო პირველად დახმარებასა“ და „კატასტროფების მართვას“.

სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოებისა თუ თვალსაჩინოებების დახმარებით მოხალისეებმა აღნიშნული საკითხების ირგვლივ პროფესიონალებისაგან თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მიიღეს. შეხვედრებზე განხილული საკითხების ცოდნა, არამარტო მოხალისეებისათვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია. ისეთ ზონაში, როგორიც ჩვენი რეგიონია, სადაც ტყის მასივებია და კატასტროფების გაჩენის რისკი საკმაოდ მაღალია, მითუმეტეს ზაფხულის პერიოდში, მსგავსი სახის ტრენინგები, ნამდვილად დიდ როლს შეასრულებს არსებული საკითხების საფუძვლიანად ცოდნასა და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

**ნატო მელიქიძე**

## მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად



**2022 წელს** დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები ფარმაცევტული სექტორის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც ერთდროულად გულისხმობდა როგორც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მათზე მოსახლეობის ჯიბიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე წამლის ხარისხის კონტროლის გაძლიერებასა და მისი რაციონალური მოხმარების ხელშეწყობას.

დღეისათვის, საქართველოს სააფთიაქო ქსელებში ხელმისაწვდომია თურქეთიდან იმპორტირებული 400-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი და მათი რაოდენობა ყოველდღიურად მზარდია. შედეგად, მედიკამენტებზე ფასები 60-80%-მდე არის შემცირებული. მიმდინარე წლის მარტიდან დღემდე 155 000-ზე მეტმა მოქალაქემ შეიძინა თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები და ძველი ფასებით, 74 მილიონის ნაცვლად, დაახლოებით 23 მილიონი ლარი გადაიხადა.

## მაღალმთიანი ზონის ქალებს მეტი მზრუნველობა

**სამცხე-ჯავახეთის** მედია ცენტრმა ბორჯომში ქალების, ახალგაზრდებისა და მაღალმთიანი ზონის სოფლებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების საჭიროებათა კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა.

სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის დირექტორმა მოწვეულ სტუმრებს გააცნო ის გამოწვევები, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე,** ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები, საკრებულოს დეპუტატები, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის და მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრა გაიმართა „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის“ SJMC-ს მიერ პროექტის - „თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება მოქალაქეთა ინტერესების დაცვისათვის“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ის მიერ.

## შრომისუნარიანი პირების დასაქმებისთვის




**პროგრამის** მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის გზით. ამ პროცესში ხდება მოსარგებლის პროფილირება და მისთვის საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიის ან შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიის შეთავაზება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში - დასაქმების ფორმალიზება. თუ შრომისუნარიანი პირი თანახმაა ერთ-ერთ შეთავაზებაზე, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ, ხოლო თუ შრომისუნარიანი პირი არ არის თანახმა შეთავაზებებზე, უარის თქმის თვიდან ერთი წლის შემდეგ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

პროგრამის განხორციელება დაიწყო 2022 წლის 1 მარტს და 2022 ივნისის მდგომარეობით, დასაქმებულია 10 272 სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირი.

13 ივნისის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს ჯამში 31 647-მა მოქალაქემ მიმართა, აქედან 14 024 ადამიანი საზოგადოებრივი სამუშაოების ვაკანსიაზე გადამისამართდა, საიდანაც 10 272 ადამიანი დასაქმდა. გარდა ამისა, მიმართვის საფუძველზე, ღია შრომის ბაზარი ან/და საქმიანობის ფორმალიზება 4 505 მოქალაქემ აირჩია.

## მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია



**ბორჯომის** საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია გაიმართა, რომელშიც რაიონის 20-ვე სკოლიდან მასწავლებელთა განსაკუთრებული აქტივობა დაფიქსირდა. მასწავლებლებმა ყველა საგნობრივ ჯგუფში პროექტების პრეზენტაცია მოაწყვეს.

რაიონულ კონფერენციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** განათლების სამინისტროს წარმომადგენლები - **სოფო მშვილდაძე** და **ხათუნა დარბაისელი** და სამცხე-ჯავახეთის საგნობრივი ექსპერტები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს **ოთარ არბოლიშვილს,** მერის მოადგილეს **იოსებ რაზმაძეს** და საკრებულოს თავმჯდომარეს **დავით ზაალიშვილს** კონფერენციაში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **იზოლდა ლომიძემ** მადლიერების სიგელი გადასცა.

## ხარისხიანი ჯანდაცვა მოსახლეობას




**ხარისხიანი** და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

დღეის მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცულია მოსახლეობის 94.7 პროცენტი. თითქმის ხუთჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები (2012 წელს - 450 მლნ ლარი, 2022 წელს - 2 მლრდ 541 მლნ ლარი).

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ და სერვისების ეფექტიანმა დაგეგმვამ წარმატებით შეამცირა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ფინანსური ბარიერები და, შესაბამისად, გაზარდა მომსახურებით სარგებლობა. მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდები 2012 წელს არსებული 73.4 ლარიდან 2021 წელს 43.5 ლარამდე არის შემცირებული.

ასევე, გრძელდება მუშაობა სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდისათვის. ამისათვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდული მოდელი (DRG), რომლის დანერგვის პილოტური პროექტი უკვე დაიწყო შერჩეულ კლინიკებში, წლის ბოლომდე კი სისტემა მზად იქნება სრულად ასამოქმედებლად.

(გაზეთის დღევანდელი ნომრის სპონსორია „Crowne Plaza Borjomi“)

სასტუმრო ,,Crowne Plaza Borjomi“

# ბორჯომის სავიზიტო ბარათი!



**სასტუმრო** ,,Crowne Plaza Borjomi“, **2015 წლის 23 დეკემბერს გაიხსნა. მინერალური წყლების პარკში მდებარე ეს უნიკალური შენობა თავისი გამორჩეული და განსხვავებული არქიტექტურით არა მარტო ადგილობრივების, არამედ ჩამოსული სტუმრებისა თუ ვიზიტორების ყურადღების ცენტრში გახსნის დღიდან მოექცა. სასტუმრო წელიწადის ნებისმიერ დროს მასპინძლობს ვიზიტორებს, როგორც საქართველოდან, ასევე მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. სასტუმროს ადმინისტრაცია მოზრდილებთან ერთად პატარა სტუმრებს მათი ასაკის შესაბამის შეთავაზებებს თავაზობს. არსებული სერვისებისა და სიახლეების შესახებ სასტუმრო** ,,Crowne Plaza Borjomi“**-ის სტუმრების მიღება-განთავსების განყოფილების მენეჯერს, ბატონ გიორგი ნუცუბიძეს ვესაუბრეთ:**

● **ბატონო გიორგი, სასტუმრო** ,,Crowne Plaza Borjomi“ **ბორჯომის სავიზიტო ბარათია. რა არის ის, რაც სხვა სასტუმროებისაგან გამოგარჩევთ და რატომ უნდა აირჩიოს ვიზიტორმა კონკრეტულად თქვენი სასტუმრო?**

— პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ Crowne Plaza Hotels & Resorts არის დინამიური, მაღალი კლასის, I-ის გლობალური ქსელის შემადგენელი ბრენდი. იგი მსოფლიოს 90-მდე ქვეყანაშია წარმოდგენილი - ურბანულ ცენტრებში, მოშორებულ ქალაქებსა და გამაჯანსაღებელ კურორტებში. ,,Crowne Plaza“ მსოფლიოში მეოთხე უდიდესი და ყველაზე სწრაფად განვითარებადი ბრენდია, მაღალი კლასის, სრული მომსახურების სასტუმრო ბრენდებს შორის. ბრენდის შესაბამისად ჩვენი სასტუმროც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურება, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუმრებს და თავაზობს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას და პროდუქტს, რის გამოც სტუმრების მხრიდან მუდმივად იმსახურებს უამრავ დადებით კომენტარს, როგორც სიციალურ ქსელებში ასევე ბრენდის შიდა ონლაინ პლატფორმაზე. სტუმრების შეფასებებზე დაყრდნობილი რეგიონალური გამოკითხვებით სასტუმრო უკვე მეშვიდე წელია ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს ევროპაში არსებულ 100-ზე მეტ სხვა Crowne Plaza-ს სასტუმროებს შორის. აღსანიშნავია, რომ სასტუმრო არის დაკომპლექტებული მაღალი კლასის პროფესიონალებით, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ სასტუმროს იმიჯისთვის და სტუმრების კმაყოფილების სტაბილურად მაღალი დონის შესანარჩუნებლად. მთავარი არის ის რომ Crowne Plaza Borjomi არის სასტუმრო, რომელიც უყვართ.

● **რა სახის სერვისებსა და პროცედურებს თავაზობთ თქვენთან მოსულ ვიზიტორებს?**

— **,,Crowne Plaza Borjomi Hotel“**-ში განთავსების გარდა სტუმარს შეუძლია ისარგებლოს რესტორნების და ბარების მომსახურებით, სადაც მსურველს შეუძლია დააგემოვნოს უგემრიელესი ევროპული და ქართული სამზარეულო. ასევე, გვაქვს საკონფერენციო დარბაზები სრული ტექნიკური აღჭურვილობით, უფასო სწრაფი ინტერნეტი, უფასო პარკინგი, ტრანსპორტირება, საექსკურსიო ტურები, საცურაო აუზი, თერმული ზონა (საუნები), ფიტნეს დარბაზი, იოგას ოთახი და რა თქმა უნდა, ჩვენი მარგალიტი - მრავალფეროვანი სპა ზონა, რომელზეც არაერთ სტუმარს დაუტოვებია კომენტარი, რომ მსგავსი საქართველოში არ ეგულებათ. არც პატარა სტუმრებს ვტოვებთ უყურადღებოდ და ვთავაზობთ ორსართულიან სათამაშო სივრცეს კინოთეატრით და სპეციალურად მათთვის შერჩეული საბავშვო მენიუთი. ასევე სასტუმროდან 3,5 კმ-ში აღმოაჩენთ გოგირდის ცხელ აბაზანებს, რომლებიც საცურაო აუზების თანამედროვე კომპლექსად იქცა და სტუმრებისთვის ხელმისაწვდომია უფასოდ მთელი წლის განმავლობაში.

● **წელიწადის სხვადასხვა დროს ასევე გაქვთ ფასდაკლების აქციებიც... ამაზეც რომ გვესაუბროთ.**

— ფასდაკლებები ხშირად არის დაანონსებული როგორც კონკრეტულად ჩვენი სასტუმროს ასევე ჩვენი ბრენდის - I-ს აქციების ფარგლებში. ჩვენი ლოიალური სტუმრებისთვის არის განსხვავებული ბენეფიტები. ასევე, ლოკალური სეგმენტისთვის განსაკუთრებით მოქნილი და კომფორტულია აქცია SOLO-ს და Concept-ის ბარათის მფლობელებისთვის. მათ ეკუთვნით 25 ფასდაკლება ნომერზე და სპის 20 პროცედურაზე.

● **პანდემიამ რამდენად იქონია გავლენა თქვენი სასტუმროს მუშაობაზე და როგორ შეძელით თანამშრომელთა შენარჩუნება?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, სასტუმრო არის დაკომპლექტებული მაღალი კლასის პროფესიონალებით და ამ პროფესიონალიზმის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი მათი ერთგულებაა, როგორც ბრენდის,



ასევე უშუალოდ ამ ობიექტის მიმართ. პერსონალის უმეტეს ნაწილს არც გვიფიქრია ალტერნატიული სამუშაო ადგილის ძიება, რადგან ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ,,პანდემიური ტალღის“ გადავლის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა და სასტუმრო ისეთივე ეფექტურობით განაახლებდა ფუნქციონირებას, როგორც პანდემიამდე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე რთულ პერიოდში, როდესაც პანდემია პიკში იყო, სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, (იქნებოდა ეს სასტუმრო თუ სხვა დაწესებულება) სასტუმრო აბსოლიტურად ყველა თანამშრომელს უნაზღაურებდა მათი ხელფასის ნახევარს. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენს სასტუმროში ერთმანეთზე ზრუნვა და ერთგულება ორმხრივია, როგორც დამსაქმებლის ასევე დასაქმებულის მხრიდან.

● **სულ რამდენი თანამშრომელი გყავთ ამ ეტაპზე?**

— მიმდინარე მომენტში სასტუმროში არის დასაქმებული 200-მდე თანამშრომელი და აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესი ნაწილი ადგილობრივია.

● **თქვენი სასტუმროს ხელმძღვანელობა აქტიურად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას როგორც კერძო პირების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართაც. აუცილებლად რომ ვისაუბროთ ამაზეც.**

— ზოგადად ქველმოქმედება ისეთი რამ არის, რასაც არ სჭირდება არც დიდი აფიშირება და არც საუბარი. ჩვენს დამფუძნებლებსაც აბსოლიტურად ანალოგიური მიდგომა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ მიერ გაწეულ საქველმოქმედო საქმიანობაზე კი უამრავი ბორჯომელი და ქართველი გაცილებით უკეთ და დაწვრილებით გიამბობთ.

● **სასტუმრო მასპინძლობს მნიშვნელოვან კონფერენციებს, სემინარებს, სხვადასხვა სახის შეხვედრებს. ამ წელს რა სახის შეხვედრებია დაგეგმილი?**

— თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო თუ სახელმწიფო ღონისძიებების დიდი ნაწილი სწორედ ჩვენთან იმართება. ვთანამშრომლობთ, როგორც საელჩოებთან, საკონსულოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე ლოკალურ კომპანიებთან. შესაბამისად სასტუმრო უკვე იყო არაერთი მნიშვნელოვანი სემინარის თუ კონფერენციის მასპინძელი.

● **მთელი წლის მანძილზე რა რაოდენობის ვიზიტორს მასპინძლობთ?**

— სასტუმრო მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ დატვირთულია. მიუხედავად იმისა, რომ სეზონური დატვირთულობაც და ფასიც წლის განმავლობაში მუდმივად იცვლება ჯამური საშუალო დატვირთულობა დაახლოებით 85 პროცენტს შეადგენს.

● **წლევანდელ საკურორტო სეზონს რა სიახლეებით ხვდებით?**

— წელს სასტუმროს ემატება ახალი სივრცე, სასტუმროს ეზოში იხსნება გრილ ბარი, რომელიც მხოლოდ ზაფხულში იფუნქციონირებს. ეს განსაკუთრებული სასტუმროს განსაკუთრებული ლოკაციაა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებს. ვფიქრობ ეს სივრცე ძალიან მალე გახდება ჩვენი სტუმრების საყვარელი ადგილი.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

ჩვენი სახელოვანი წინაპრები...

# შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო...

**30 ივნისს** ქართული მართლმადიდებლურ ეკლესია აღნიშნავს მართლმადიდებლობისა და საქართველოსათვის (ეს ორ მცნება განუყოფელია ქართველი ერის ისტორიაში) თავდადებული და წამებული რაინდის წმინდანად შერაცხული შალვა თორელი-ახალციხელის ხსენების დღეს.

მეფეთ მეფემ დიდმა თამარმა შალვა თორელი ახალციხელი - მამაცი და მხნე მეომარი, ერთგულებისა და ვაჟკაცობისათვის ახალციხის მთავრად დანიშნა.

შალვა თორელმა (ახალციხელმა) ცნობილ შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ხალიფას დროშა და სხვა უამრავი ნადავლი წაართვა და ხახულის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს შესწირა. უანგარო სამსახურისათვის თამარ მეფემ შალვა მანდატურთუხუცესად განამწესა და მხედართა მთავრად დაადგინა. უებარმა ვაჟკაცმა და მამაცმა მხედართ უფროსმა არაერთი გამარჯვება მოიპოვა მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში.

როცა საქართველოში ჯალალედინის ურიცხვი ლაშქარი შემოიჭრა, მეფე რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს უსარდლა ივანე ათაბაგი, რომელმაც **„განაწყო ჯარი იმერნი და ამერნი, მხედართმთავრად დანიშნა სიმხნევითა და სიმამაცით გამორჩეულნი – თორელნი ორნი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე სახელოვანი მებრძოლნი“ გვამცნობს მატიანე.** სოფელ გარნისთან ექვსი ათასი ქართველი დადგა ორასი ათასი მუსულმანის წინააღმდეგ.

მესხთა გმირული ბრძოლის მიუხედავად ვერაფერი გააწყვეს სულთანის მრავალრიცხოვან ჯართან **„და იქმნეს ძლიერნი ომნი“.** შალვამ და ივანემ სამჯერ სთხოვეს ივანე ათაბაგს შველა, მაგრამ უგუნური შურიძიების გამო სარდალმა ათაბაგმა მათი თხოვნა ყურად არ იღო **„არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და დგეს მათ თანა შორით და მრავალთა სახელოვანთა, არამედ და არა ინება შველა ივანე ათაბაგმა, რომელთა შურითა იტყვიან ამას არა თუ შიშითა“.**

**ომში ორივე ძმებს ,,ახალციხელებს დაუხოცეს ცხენნი, ქუეითნი მხნედ იბრძოდეს. და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს თორელნი და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ხმალნიცა ახალციხელთანი განწყდეს ჩაბალახსა ზედა“.** უწყალოდ დამარცხდნენ ქართველები. ტყვედ შეიპყრეს თამარ მეფის სახელოვანი სარდალი, არა ერთი ომის გმირი შალვა ახალციხელი და დაჭრილი მიჰგვარეს ჯალალ-ედ-დინს, ხოლო ძმა მისი, ასევე ლეგენდარული მხედართმთავარი ივანე **,,გარნისისა კლდეთა შელტოვილი“ მოიკლა „ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა“.** ამ საშინელ და თავზარდამცემ ომში დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ტყვედ ჩავარდნაზე (თურმე ქართველ ტყვეთა სიმრავლე მრავალრიცხოვანი ყოფილა და თითო ქართველი 2-3 დინარად იყიდებოდა). როდესაც შალვა თორელი (ახალციხელი) მიიყვანეს სულთანთან, მან ეს სახელოვანი რაინდი შეინდო და პატივისცემის ნიშნად „მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგანისანი“. ასეთი პატივით, ალბათ, ჯალალ-ედ დინი ფიქრობდა მის გადაბირების და საქართველოს დაპყრობაში გამოყენებას.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ჯალალ-ედ-დინი ერთი წლის განმავლობაში შალვა თორელ-ახალციხელს **,,აიძულებდა დატევებასა სჯულისას და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არც უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულთანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფისა ქრისტეს იგი გარემოაქცევდა სიტყუათა მისთა. არამედ კუალად სულთანი, ქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა ეგო და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა, ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკვდილითა განიყუანა საწუთროსა წმინდა შალვა, და მოწამეობისა გვირგვინითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესა“ (,,ქართლის ცხოვრება“).**



გარნისთან ბრძოლა 1225 წელს მტრის ქართველებზე გამარჯვებით დამთავრდა. ანტონ კათალიკოსი (XVI საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე) შალვა თორელ-ახალციხელის შესახებ ჟამთააღმწერლის მსგავსად გადმოგვცემს ამ დიდებული ერისთავთერისთავის, გამოჩენილი სარდლის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის ისტორიას, როგორც მესხთა მეწინავე ლაშქრის მხედართმთავრის გმირულ ბრძოლებს ქრისტესმოძულე დამპყრობლების წინააღმდეგ შამქორთან, ყარსთან, ბასიანთან.

ჯალალ-ედ-დინი დიდხანს ცდილობდა ზნესრული რაინდის გადაბირებას და როცა ვერაფერს გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა, რასაც შალვა თორელ-ახალციხელი სიხარულით შეეგება. **„იხარებოდე, ჰოი, შალვა დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიცა ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“.**

შალვა თორელ-ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა. დღესაც ომახიანად და გულშიჩამწვდომად ჟღერს „შავლეგო“, რომელიც განადიდებს შალვა თორელის ვაჟკაცობას და ღვაწლს. აი, ის ლექსიც.

**„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,**
**სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,**
**ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო,**
**მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,**
**შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო...“**

**მინაწერი: ძმები შალვა და ივანე თორელები ჩვენი ხეობის გმირთაგმირი შვილები არიან. მათი დონის სახელოვანი პიროვნებები ბორჯომის ხეობის ისტორიას არ ახსოვს. თორელები არა მარტო მტერთან ბრძოლაში იყვნენ სწორუპოვარი რაინდები, არამედ გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეები გახლდნენ. თორელთა სახელს უკავშირდება ტიმოთესუბნის მონასტრის მშენებლობა, რომელიც დღესაც ანცვიფრებს მნახველებს თავისი სიდიადით. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თორი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი კულტურულ-ეკონომიკურ თვალსაზრისით დაწინაურებული მხარე იყო და შალვა და ივანე თორელების მსგავსად სხვა არაერთი სახელოვანი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე თორელი გაიზარდა ამ მხარეში, რომელმაც დიდების შარავანდედი შესძინეს ჩვენს ქვეყანას.**

**დასასრულს მინდა ჩემი დიდიხნის ოცნებაც გავაჟღერო, ახლა, როცა სერიოზულად დაკნინდა და დაიმცრო ქართველთა სახელოვანი წარსულისადმი პატივისცემა, როცა დავიწყებას ეძლევა გმირ წინაპართა სახელოვანი ტრადიციები, მინდა კულტურის სამინისტროს, სამცხე ჯავახეთის გუბერნატორს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას მოკრძალებით ვთხოვო, - იქნებ ღირდეს სახელოვან წინაპართა შალვა და ივანე თორელთა ძეგლი აღგვემართა ბორჯომის ცენტრში.**

**ამ მოკრძალებული წინადადების სახალხოდ განხილვა სავალდებულოდ მიმაჩნია, რათა ახლა მაინც უკვდავვყოთ საქართველოს თავდადებული რაინდების სახელები.**

**ვალერიან ლომიძე**

### ელგუჯა ორჯონიკიძე - 85 წლისა

# მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის მესაძირკვლე



**რა დრო გასულა... ჩვენი უფროსი მეგობარი, თხემით ტერფამდე სამშობლოზე, მშობლიურ ბორჯომზე და მეგობრებზე შეყვარებული ბატონი ელგუჯა ორჯონიკიძე 85 წლის შესრულდა. იმდენად ახალგაზრდულად გამოიყურება, გულში ვერც გავივლებდით მის ასაკს...**

**მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ღირსებით სავსემ განვლო.**

წარმატებით დაამთავრა ჯერ ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ერთხანს ადმინისტრაციულ ორგანოებში იმსახურა, საკმაოდ წარმატებული გამოდგა რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდი, მისი ინიციატივით მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა ბორჯომის კულტურულ ცხოვრებაში, სწორედ მისი ინიციატივით აშენდა წაღვერის კულტურის სახლი, მრავალ სოფელში კლუბები და ბიბლიოთეკები. იმ წლებში, არაერთ კონკურსში და ფესტივალში იმარჯვებდნენ კულტურის თვითმოქმედი ანსამბლები, ეწყობოდა მეტად საინტერესო შეხვედრები სახელოვან მწერლებთან, მეცნიერებთან თუ მსახიობებთან და სხვა. სადაც კი ილვაწა ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარედ, თუ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დირექტორად ყველგან ღირესეული კვალი დაამჩნია დარგის განვითარებას, (დიახ, ილვაწა და არა იმუშავა), ამ ორ სიტყვას შორის განსხვავებაა, რადგან ბატონი ელგუჯა ყველგან ბოლომდე იხარჯებოდა კეთილი საქმის კეთებისათვის, ზრუნავდა თითოეული მშრომელის კეთილდღეობისათვის, შრომით კოლექტივებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, მისი თაოსნობით მრავალი სიახლე და პროგრესული მიდგომები ინერგებოდა და წარმატებებიც სახეზე იყო.

ბატონი ელგუჯა თავის მეგობრებთან ერთად ყოველთვის სათავეში ედგა ბორჯომში, წაღვერში თუ ბაკურიანში ჩამოსულ სტუმრების საპატიო მიღება-გასტუმრებას. მისთვის დამახასიათებელი ქართული სტუმარ-მასპინძლობით აღფრთოვანებული მრავალი ქართველი თუ უცხოელი პიროვნება მადლიერების სიტყვებს არ იშურებდნენ.

მისი საიუბილეო თარიღის მოსალოცად მრავალი თვალსაჩინო პიროვნება შეიკრიბა, ყველა ერთხმად აღნიშნავდა ბატონ ელგუჯას დიდ დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში წარმატებული მოთხილამურე იყო, თხილამურების სიყვარული მოხუცებულობის წლებამდე გაჰყვა. მსოფლიოში ყოველწლიურად ტარდება ხანდაზმულ (50 წელს ზევით) ასაკის მქონე მოთხილამურეთა შეჯიბრებები, ბატონი ელგუჯა სისტემატიურად ასპარეზობს ამ პრესტიჟულ შეჯიბრებებში და ხშირად მსოფლიოში აღიარებულ სამთო მოთხილამურეთა შორის გამარჯვებულიც გამოდის. ბატონ ელგუჯაზე შეიძლება ვთქვათ, „უშიში ვითარცა უხორცო". თურმე ვეტერანთა ტრადიციულ შეჯიბრებებზე ყოფილი ცნობილი მოთხილამურეები ხანდაზმული ასაკი გამო შიშით ვერ ბედავენ დიდი დახრილობის მქონე გაყინულ ტრასაზე გამოსვლას, ელგუჯას კი შიშის გრძნობა არ ემჩნევა...

ნათქვამია ადამიანის ცხოვრება ფასდება თუ როგორი ოჯახი შექმნა და ქვეყანას როგორი შთამომავლობა დაუტოვაო. ბატონ ელგუჯას ამ საქმეშიც ფრიადი უწერია. შესანიშნავი ოჯახი შექმნა ქალბატონ ადეა იოსელიანთან ერთად. აღზარდეს სამი შვილი, ერთმანეთზე უკეთესები, განათლებულნი, სამთო-სათხილამურო სპორტის ოსტატები, უფროსი ვაჟი - გია (გიორგი) და უმცროსი - ელგუჯა ახლა წარმატებული ბიზნესმენები არიან, ერთხანს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები იყვნენ, ქალბატონი - ეკა კი სათავეში ჩაუდგა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს და დღედაღამ შრომობს 2023-2025 წლებში ბაკურიანში გასამართ მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული შეჯიბრებების წარმატებით ჩატარებისთვის.

სასიხარულოა, როცა ოჯახში ასეთი ღირსებით სავსე შვილები იზრდებიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ ელგუჯა ორჯონიკიძის სამაგალითო პიროვნული თვისებები - კეთილშობილება, თავმდაბლობა და მაღალზნეობრიობა. სწორედ ამ თვისებების გამო ბატონი ელგუჯა ბორჯომის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

დადის წაღვერის, ბაკურიანის, ბორჯომის, თბილისის და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში ახალგაზრდული შემართების, წელგამართული, მკვირცხლი ბატონი ელგუჯა ორჯონიკიძე და მის დამნახავს ეჭვი ნამდვილად უჩნდება, ასეთი ახალგაზრდული გარეგნობის პიროვნება, 85 წლის თუ არის და გულიდან ნამდვილად აღმოხდება, რა დროს სიბერეა, სიბერე მოიცდის, რამდენი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი, ასაშენებელი ჩვენთვის სანუკვარ სამშობლოში.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს სამშობლოზე და ბორჯომის ულმაზეს ხეობაზე უსაზღვროდ შეყვარებული, დიდი გულშემატკივარი და პატრიოტი ბატონი ელგუჯა. გულწრფელად ვულოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობის და ენერგიის შენარჩუნებას, დაწყებული საქმეებისა და გეგმების შესრულებას ვუსურვებთ.

**ვალერიან ლომიძე**

> **მის გვერდით ყველა შინაურდება...**
> **დიდაქტიკური რჩევებიც შვენის,**
> **მისი სურვილიც სწრაფად სრულდება.**
> **ვარდების თვეში დაბადებული,**
> **ამ ქვეყანაზე მოსულა „გურჯად",**
> **დიდხანს იცოცხლე და გაიხარე**
> **ჩვენს საამაყოდ, შენ დიდო გუჯავ!**
>
> სიყვარულით **იზა ხეცაძე.**

### ფიქრები ხმამაღლა

# შეშლილი მსოფლიო... შეშლილი საქართველო

**მახსენდება** ამერიკული ფილმი: „შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო". კიდევ ასჯერ რომ ვნახო, არ მომწყინდება, რადგან ეს კომედიური ჟანრის ფილმი მართლაც გენიალურად არის გადაწყვეტილ-გადაღებული. ამ ფილმში ფულის გამო არიან შეშლილი ადამიანები, ფულის ძებნაში თითქოს მეგობრდებიან კიდეც, მაგრამ სინამდვილეში ყველას თავისი ეგოისტური მიზნები ამოძრავებს, ყველას თვითონ უნდა მოიხვეჭოს ყველაზე მეტი. ფილმის ბოლოს ფულით სავსე ჩანთა ამწეკრანიდან, სიმაღლიდან, იბნევა დოლარები ჰაერში, იშლება და ძირს მომდგარ ათასობით ადამიანს თავზე ეყრება. ხალხიც იტაცებს ამ დოლარებს, ვისაც როგორ შეუძლია. დაჩეხილ-დაჟეჟილი ფილმის გმირები ყველანი საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოხვდებიან, თავ-პირით, ხელ-ფეხით, მთლიანად ტანზე ერთიანად დაბინტულები, საწოლების თავზე ხელ-ფეხჩამოკიდებულები. ამ დროს ერთს გაეცინება, მეორეც აჰყვება და მალე მთელი პალატა სიცილ-ხარხარისგან ზანზარებს.

ამ ფილმში ყველაფერი სასაცილოა, სინამდვილეში კი - ყველაფერი - სატირელი, რადგან ადამიანის შინაგანი მგლური ბუნება მომხვეჭელობისადმი სწრაფვა მთელი სისრულით არის გადმოცემული.



ამ ჟინით ცხოვრობს დღესაც, სამწუხაროდ, მთელი მსოფლიო. ბატონობს მამონა - სიმდიდრის და ანგარების ღმერთი. უკრაინაშიც ამის გამო მძვინვარებს ომის ხანძარი. რუსეთმა კი დაიწყო, მაგრამ ე.წ. კოლექტიურ დასავლეთს დიდი ხანია, ამისთვის ჩაწყობილი ჰქონდა „მიწაში" ნაღმები. რუსეთის დასუსტებისკენ ისწრაფვიან დასავლელი „ქორები", რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურთ. ამის გამოც არის შეშლილი მსოფლიო. ფაქტიურად, მთელი მსოფლიო მონაწილეობს მასში ეკონომიკის ფარული ძაფებით, გაძვირება-გაიაფების ჩუმი დინებებით. იმის მაგივრად, რომ დიპლომატიით, მშვიდობიანად მოგვარდეს საქმე, ამერიკა და დასავლეთი აწვდის იარაღს უკრაინას სისხლისღვრის გასაგრძელებლად. თან დასტირიან დახოცილ ბავშვებს და ქალებს, თან იარაღს აგზავნიან კიდევ სხვების დასახოცად, არ არის ეს სიგიჟე?

საქართველოშიც უამრავი ფაქტი შეგვიძლია მოვიყვანოთ სიგიჟის დამადასტურებელი. თუნდაც ზოგიერთი „ქორი" ტელევიზიების ზოგიერთი პარტიის თუ ადამიანთა ჯგუფის მოწოდება, რომ საქართველოც უნდა ჩაებას რუსეთ-უკრაინის ომში. მიტინგობანას და დროშების ფრიალს რუსთაველზე ხომ ბოლო არ უჩანდა.

მეორე „საგიჟეთი": სააკაშვილის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟია. აქაც მიტინგობანას ბოლო არ უჩანს. მოითხოვენ არანორმალურს: დამნაშავე არ იქნას აღიარებული დამნაშავედ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შავს თეთრად ასაღებენ და თეთრს - შავად.

საქართველოში საგიჟეთის კიდევ ერთი „სფეროა" წამლებზე დაწესებული ფანტასტიკური ფასები. ამ „სფეროზე" უფრო მეტს ვისაუბრებ. თითქოს მთავრობა დაფაცურდა მდგომარეობის გამოსასწორებლად: თურქეთიდან შემოიტანა იაფი წამლები. ეს სიკეთე განა რამდენმა იგრძნო საქართველოში? - გამოქვეყნდა, რომ 175 ათასმა. დანარჩენებმა მხოლოდ ამბავი მოვისმინეთ! პენსიონერი და დაავადებული კი საქართველოში მილიონზე მეტია! ათასნაირი ჭორი ტრიალებს: თითქოს თურქეთიდან შემოტანილი წამლები უხარისხოა და თურქეთი მათ მხოლოდ ასაღებსო! ვინ გვეტყვის სიმართლეს?

ახლახან ტელევიზიით მოვისმინე ერთი ქართველი პროფესორის (ექიმის) ნათქვამი: საქართველში წელიწადში 80 მილიონი ღირებულების მედიკამენტები შემოდის და აქედან ნახევარი, 40 მილიონი უხარისხო და ფალსიფიცირებულიაო. რასთან გვაქვს საქმე? მოდი და ნუ გავგიჟდებით, ანდა საგიჟეთად ნუ მივიჩნევთ ასეთ მდგომარეობას!

მთავრობა ამ მხრივ მაინც ცდილობს რაღაც გზების დაწესებას წამლების გასაიაფებლად. ზოგიერთი წამალი მძიმე დაავადების დიაგნოზის მქონე ადამიანებს უფასოდ ანდა ფასდაკლებით ეძლევათ, მაგრამ, ჯერ ერთი, ამით სარგებლობს ავადმყოფთა ძალიან ცოტა პროცენტი, მეორეც, ფარმაცევტული კომპანიები პრობლემებს უქმნიან ადამიანებს მათ შესაძენად. უბრალოდ, ეს წამლები არ შემოაქვთ. პირადად მე რამდენჯერ შევსწრებივარ აფთიაქებში ადამიანებს, რომლებიც ჩხუბობენ იმის გამო, რომ ამა და ამ წამალს ელოდებიან და ვერსად ვერ შოულობენ.

პენსიონერებსაც აძლევენ ზოგიერთ წამლებს უფასოდ. მაგრამ ზოგიერთი წამალი აქაც დეფიციტურია და ვერ იძენს ავადმყოფი. თანაც ექიმისგან დანიშნული წამლების უმეტესობა ამ უფასო წამლების ჩამონათვალში არ შედის! როგორც ჩანს, უფასო წამლების ჩამონათვალში შეაქვთ ნაკლებ ეფექტური მედიკამენტები, ნამდვილად სამკურნალო წამლებს კი კვლავ ფანტასტიკური ფასი ადევს. განა სიგიჟე არ არის, ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანია წამალს 500-700%-ით რომ აძვირებს? ამ დროს სად არის სახელმწიფო? რატომ არ არეგულირებს ყველაფერს? მეჩვენება, რომ მთავრობა ამისთვის ვერ იცლის და პარტიების კინკლაობაში არის „გართული".

ბენზინის ფასმაც, შეიძლება ითქვას, სიგიჟის ზღვარს მიაღწია. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ აქაც შეიძლება ამისი დარეგულირება, მაგრამ „რატომღაც" ეს ვერ მიიღწევა.

აღარაფერს ვამბობ პროდუქტებზე გაზრდილ ფასებზე ბაზრობებზე თუ მაღაზიებში. არ მჯერა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ გიჟური ფასების დარეგულირება. მახსოვს, ისრაელი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ფასებს თვითონ არეგულირებდა პროდუქტებზე. იყო პროტესტიც „მგლური მადის" ბიზნესმენების მხრიდან, მაგრამ ისინი მოთოკეს.

ამ მგლური მადის ჟინის მოთოკვა, ვფიქრობ, ჩვენთანაც შეიძლება, ოღონდ საჭიროა ამისთვის, როგორც ამბობენ, „პოლიტიკური ნება" იყოს. ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო"...

**უჩა არაგვისპირელი.**

### ნათია ჯიქურაშვილის პოეზიის პირველი კრებული

# „ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი"...

**ჩვენი გაზეთის მკითხველი ნათია ჯიქურაშვილს მისი ავტორობით გამოქვეყნებული სტატიებიდან კარგად იცნობს. სულ ახლახანს დაიბეჭდა ნათია ჯიქურაშვილის პოეზიის პირველი *კრებული „ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი",* რომელშიც 130 ლექსია თავმოყრილი, გამორჩეულია ორიგინალური დიზაინით. განსაკუთრებით პატრიოტული და სატრფიალო თემა ჭარბობს.**

**- ჩემი ლექსების კრებული ყველა იმ მკითხველისთვის შეიქმნა, ვისაც პოეზია სულის სიმებს უჟღერებს და სიამოვნების ქარცეცხლში ახვევს.**

**პირველი კრებული პირველი სიყვარულივითაა, დაუვიწყარი, სათუთი, უფრო მძაფრი ემოციებისა და სიწრფელე-სისათუთის შემცველი. ჩემი სულის ძახილი და ფორიაქი წიგნად შევკარი და დღის სინათლეზე გამოვიტანე. იმედია, თქვენს გულებამდეც მიაღწევს. მე ხომ ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვით, - წერს ახალგაზრდა პოეტი.**

**ნათიას** პირველი ლექსის ისტორია ზღაპრულ ამბავს ჰგავს... დაახლოებით ხუთი წლის ასაკში ლექსი ზეპირად თქვა და დედამ ჩაიწერა. ლექსი კი გაზაფხულზე იყო, ხოლო კრებულის პირველი ლექსი მიეძღვნა კახი კავსაძისა და ბელა მირიანაშვილის უკვდავ სიყვარულს.

- მადლობას ვუხდი გამომცემლობა „დანის" და მის ხელმძღვანელს დავით დოლუაშვილს. ყდის დიზაინი ეკუთვნის ცნობილ მხატვარს ალექსანდრე ციხელაშვილს, (მან წლების წინ დამხატა და აღნიშნული ნახატი ავირჩიე ყდის დიზაინად) დამკაბადონებელია თამარ ქავჟარაძე, ხოლო ტექნიკური რედაქტორია დავით დოლუაშვილი. მათი ხელშეწყობით დაიბადა და დღის სინათლეზე გამოვიდა ჩემი სულის ნაწილი, ჩემი პირმშო პოეზიის კრებულის სახით. ბედნიერი ვარ, რომ გამოვეცი. კრებულის რეცენზია ეკუთვნის ცნობილ პოეტს ჯუბა ღებელს, რომელსაც ასევე მადლობას ვუხდი ჩემი შემოქმედების შეფასებისთვის.

გთავაზობთ ავტორის ბიოგრაფიული მონაცემებს:

- დაიბადა 1984 წლის 7 აგვისტოს ულამაზეს ქ. ბორჯომში. ბორჯომი მისთვის არაამქვეყნიური სილამაზის სიმბოლოა. ამაყებს, რომ ამ ქალაქის ნაწილია. წარჩინებით დაამთავრა №1 საჯარო სკოლა, სწავლობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, უყვარდა სპორტი და ჟურნალისტური საქმიანობა. სკოლის პერიოდში, მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ცისარტყელაში" აქვეყნებდა საგაზეთო პუბლიკაციებს.

2002 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფილოლოგიის მიმართულებით. უნივერსიტეტის სწავლის პერიოდში აქტიური სტუდენტი იყო. როგორც პოეტი გახდა უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის წევრი და ხშირად მეცნიერ-ლექტორთა წინაშე გამოჰქონდა საკუთარი შემოქმედება. უნივერსიტეტის ბოლო კურსზე გახდა პრეზიდენტის სტიპენდიანტიც.



2006 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში. იყო კორესპონდენტი, შემდეგ რედაქტორის მოადგილე. ეს წლები მისი ცხოვრების საუკეთესო წლებია, სისხლსავსე და ბედნიერი. იმ წლებში როგორც ჟურნალისტი ინტენსიურად ვითარდებოდა. გახდა რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი, რომლის ეგიდით ჩაერთო განათლების და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით გამართულ მასშტაბურ სწავლებაში. ლიდერობის საერთაშორისო სერთიფიკატებიც მოიპოვა.

> **ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი,**
> **ტკივილი გულიდან პეშვებით ამოგაქვს,**
> **ხანდახან უფერო დღეებით ვინთქმები,**
> **ამას გრძნობ და სულში იები ამოგყავს.**
> **ვერ ვარქვი ამ გრძნობას ვერარა სახელი,**
> **სათუთი, სულსავსე დღეებით ვინთები,**
> **უსიტყვო განცდებთან ტკბილ მზერას აგებებ**
> **და მაგ დროს რარიგად ზედმეტობს სიტყვებიც.**
> **ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი,**
> **ტკივილი გულიდან პეშვებით ამოგაქვს,**
> **ხანდახან როდესაც მრუმეა დღეები,**
> **ღრუბლიდან ბრდღვიალა ცხრათვალა გამოგყავს.**
> **ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი...**

2008 წელს დაოჯახდა. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე დავით ტორაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტები. ჰყავს სამი უნიჭიერესი შვილი: მარიამი, ანასტასია და შოთიკო... გოგონები შარშან ქინგსის ოლიმპიადის ლიგის გამარჯვებულები და ოქროსმედალოსნები გახდნენ. წელს კი უფროსი შვილი მარიამ ტორაძე ოლიმპიადა „ნაუტილუსის" ეგიდით საქართველოში 50 საუკეთესო მოსწავლეს შორის მოხვდა. იგი შესანიშნავად ხატავს.

2019 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირში პიარის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით.

ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობასაც ბორჯომის პროფესიულ სასწავლებელში, ასწავლიდა საქმიანი ურთიერთობის კულტურასა და ეტიკეტს, რედაქტირების საფუძვლებს და სტენოგრაფიას.

- რაც შეეხება ჩემს პოეზიას. აქტიურად ვთანამშრომლობ გაზეთ **„ლიტერატურულ მესხეთში",** გამოვაქვეყნე ჩემი ორი ლექსი. ორჯერ მქონდა პოეზიის საღამო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბორჯომის №1 საჯარო სკოლას, რომლის ხელშეწყობით გაიმართა ჩემი პირველი პოეზიის საღამო, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები **მზია ხუციშვილი და მზია მეტრეველი,** რომლებსაც საჯაროდ ვუხდი მადლობას, - გვითხრა საუბრისას.

ნათიას ლექსების კრებული მალე ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც გადაიგზავნება, დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ან მიწერეთ კრებულის ავტორს.

მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# ვულოცავ!



2 ივლისს, ჩემს საამაყო შვილიშვილს, უკვე VIII კლასელს, სწავლაში წარჩინებულს და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულს **თეკლა მელქაძეს** ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ვუძღვნი ლექსს:

## სიხარულის განცდა

უმცროსი შვილიშვილი
წარმატებას გვპირდება,
2 ივლისს - თეკლა,
ცამეტი წლისა ხდება.
მშვენიერ დღის ლოდინში
საჩუქარი დახვდება,
დიდ მომავლის იმედად
ბედნიერი გახდება.
გამორჩეული ნიჭით
იგი გონიერია,
სკოლაში კარგად სწავლობს,
ყველა კმაყოფილია.
ამ დღიდან დაწყებული
წინსვლა დაებედება,
შვილიშვილი თეკლა კი
ცოდნით გაბრწყინდება.
წარმატებას ახალი
გამარჯვება მოჰყვება,
მონდომებული სწავლით
ბაბუს გაეხარდება.

ბაბუ **სერგო მელიქიძე**

# ინტელექტ-ჩემპიონატი - რა? სად? როდის?



**ბორჯომის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტ ჩემპიონატის რა? სად? როდის? გაზაფხული-ზაფხულის სეზონი ჩატარდა.** პირველი ადგილის მფლობელი **ბორჯომის №6 საჯარო სკოლის გუნდი „ვიქტორია“ გახდა.** საუკეთესო მოაზროვნის ტიტული კი ამავე გუნდის წევრმა **საბა გელაშვილმა** მოიპოვა. მას მეგატექნიკის მფლობელმა **დავით შონიამ** სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. მე-2 და მე-3 ადგილი **№3 საჯარო სკოლის გუნდებმა „ფენიქსმა“ და „ჰუმანურებმა“ გაინაწილეს.** გამარჯვებულები გარდამავალი ბუს ქანდაკებით, სიგელებითა და წიგნებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** საკრებულოს წევრებმა და მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** დააჯილდოვეს. ასევე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გამარჯვებული გუნდი ვარძიარაბათის მოსანახულებლად უფასო ექსკურსიით დააჯილდოვა. საპატიო სიგელები გადაეცა ფინალში მოთამაშე ყველა გუნდს. შეხვედრას №3 საჯარო სკოლამ უმასპინძლა, მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა სკოლის დირექტორი **ხათუნა ხარაზიშვილი.**

**რა? სად? როდის?-ის ჩატარების ინიციატორია ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საბიბლიოთეკო გაერთიანება და ბორჯომის ინტელექტკლუბი.** როგორც თამშის სულისჩამდგმელმა და წამყვანმა, **გიორგი ფერაძემ** აღნიშნა, წარმატებული ფინალი შედგა. იყო დაძაბულობა, მაგრამ საბოლოოდ ყველას ინტელექტუალური თამაშები და ერთმანეთი გვიყარს. უახლოეს სეზონამდე ტიტულებიც და ბუებიც გამარჯვებულთა მფლობელობაში იქნება.

# სოციალური შემწეობები შშმ პირებს




**2022 წლიდან გაიზარდა შშმ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური პაკეტის ოდენობა და განისაზღვრა 275 ლარით. შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებმა მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებმა და შშმ ბავშვებმა მიიღეს გაზრდილი ოდენობის დანამატი.**

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთათვის, რომლებიც იღებდნენ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას/სოციალურ პაკეტს 22 ან 44 ლარის ოდენობით, აღნიშნული გასაცემელი განისაზღვრა 100 ლარის ოდენობით.**

# გაიმართა ღია კარის დღე



**17 ივნისს,** ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში ღია კარის დღე გაიმართა, მოზარდ თაობას მოუწოდეს, რომ მათი სკოლის კარი ყველა მსურველისთვის ღიაა.

ღონისძიებაზე სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები მაყურებლის წინაშე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ, სკოლის კურსდამთავრებულები კი დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მისი მოადგილეები: **ჯუმბერ კურტანიძე** და **ნიკოლოზ კიკნაძე,** საკრებულოს წევრები და მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე** ესწრებოდნენ.

# SOS გაითვალისწინეთ ჩვენი გასაჭირი



**რამდენიმე** დღის წინ რედაქციაში მოქალაქემ დარეკა და გვთხოვა, რომ მისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით დაგვებეჭდა გაზეთში - „ახალშენში ვცხოვრობ და ქალაქის ცენტრისაკენ თითქმის ყოველდღიურად მიწევს ფეხით გადაადგილება, მითუმეტეს ზაფხულის პერიოდში, როდესაც ფეხით სიარულს არაფერი ჯობია, რატომ უნდა ველოდო ტრანსპორტს? ჰოდა, მეც ყოველდღიურად ფეხით მივუყვები ხოლმე გზას. ფოსტას რომ გაცდები და სანამ სასტუმრო „ბორჯომის ხეობასთან“ მიხვალ, იქ დაგებული ქვაფენილი მოსვენებას მიკარგავს მეც და იმ ტერიტორიაზე გამვლელებსაც. უკვე აღარც კი მახსოვს, მაგ სასტუმროს მიმდებარედ არსებული ქვაფენილი ბოლოს როდის დააგეს. კარგ ამინდში ფილები ისე მოძრაობს, რომ რამდენჯერ ფეხიც გადამიბრუნდა და თავი ძლივს შევიკავე, რომ არ დავცემულიყავი. ხოლო წვიმის დროს, აღნიშნულ ტერიტორიაზე გუბეები დგას და ფაქტიურად, გადაადგილება შეუძლებელია. მოგმართავთ თხოვნით, ვისაც არსებული სიტუაცია ეხება, რომ თუკი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გარკვეულ ადგილებში წლების მანძილზე რამდენჯერმე იგება ქვაფენილი და გზის სავალი ნაწილი კეთდება, იქნებ ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება, რომ გუბეებში არ ვიაროთ. მითუმეტეს, ბოლო დღეების მანძილზე, იმდენად ცუდი ამინდებია, რომ სულ წვიმს და არსებულ მონაკვეთზე წვიმის გუბეები ამოშრობას ვერ ასწრებს. მარტო ქალაქის ცენტრი არ არის საქმე, იქნებ ფეხითაც გევლოთ და თქვენი თვალით გენახათ, რა ხდება ქალაქის ქუჩებში?

# ცხადდება ლიტერატურული კონკურსი



**გაზეთის „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.**

**საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით:**

ერთი კონვერტით — საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

**დაწესებულია პრემიები:**

**გრან-პრი** — 3000 ლარი — ასპინძის საპატიო მოქალაქის **ემზარ ასპანიძისაგან;**

**პირველი პრემია** — 1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის **მერიისაგან;**

**მეორე პრემია** — 1000 ლარი — კერძო პირის **ელდარ ალიევისაგან;**

**მესამე პრემია** — 600 ლარი — სამცხე-ჯავახეთის **სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.**

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არაუმეტეს ხუთისა.

**კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთაველში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე — შოთაობაზე“.**

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.№3. გაზეთ **„ლიტერატურული მესხეთის“** რედაქცია.

საკონტაქტო ტელ. 599979524

**რედაქტორი: ა. ბერიძე**

# სათხილამურო სპორტის სრულყოფისათვის




**სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:**

**სვანეთში,** ზურულდის მთაზე, 2021 წელს აშენდა ამიერკავკასიაში ყველაზე სწრაფი საბაგირო;

**ბაკურიანში,** დიდველის ორ სათხილამურო ტრასაზე დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მესამე ფაზა. აშენდა PGS, PSL და სლოუფსტაილის ტრასები;

**მსოფლიო ჩემპიონატის** პროექტის ფარგლებში, ბაკურიანში მიმდინარეობს წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარის (ტბა) მშენებლობა: დიდველი - 201 433 მ3, კოხტა-მიტარბი - 105 948 მ3;

**ბაკურიანში,** დიდველის სათხილამურო ტრასაზე განხორციელდა ღამის განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

**თეთნულდზე** დაიწყო ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროცესი;

**აღსანიშნავია,** რომ 2023 წელს, საქართველო მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატს თხილამურებითა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში.

## წერილი რედაქციას

# მადლიერი პაციენტები

**რედაქციაში** მოკრძალებულად შავებში ჩაცმული ქალი შემოვიდა. დაბალი ხმით გვესალმება და ძალიან მორიდებით გვეცნობა, თან თვალებში ცრემლი უკრთის - **თინა ლომიძე,** ბაკურიანის მკვიდრი - ბაკურიანის საავადმყოფოს მედპერსონალისადმი მადლობის გადახდა მინდა თქვენი გაზეთის საშუალებითო. ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ.

- რამდენიმე კვირის წინ წლისა და ათი თვის შვილიშვილი ლაზარე სიკვდილს გამოვგლიჯეთ ხელიდან.

ქალბატონ თინას უჭირს ემოციების შეკავება, ნიკაპი უცახცახებს და ცრემლები ღაპაღუპით სცვივა თვალებიდან.

ჩემი შვილი და რძალი იქვე, ოთახში საქმიანობდნენ. საქმეში გართულებმა ვერ შეამჩნიეს როგორ დაინტერესდა ბავშვი კუთხეში მდგარი ბოთლით, რომელშიც დიზელის საწვავი ესხა, როგორ აიღო ხელში და გემოს გასინჯვა გადაწყვიტა. არავინ იცის რამდენი ყლუპი საწვავი დალია ლაზარემ, მშობლებმა ის ნახევრად გულწასული აღმოაჩინეს. დაფეთებულებმა სასწრაფოს დავურეკეთ და ბაკურიანის სამედიცინო ცენტრში რეანომობილის მოსვლამდე იქაურმა პერსონალმა გასაოცარი ყურადღება და მობილიზება გამოიჩინა პატარა პაციენტის მიმართ. ყველა საჭირო პროცედურა ჩაუტარეს და გვერდიდან არ მოსცილებიან. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ექიმი **ფატი შავლოხოვი,** რომლის პროფესიონალიზმი და პაციენტზე ზრუნვა ადრეც გამომიცდია პირადად მე, როდესაც წლების წინ სოკოთი მოვიწამლე.

როდესაც რეანომობილი მოვიდა, ლაზარე უკვე გონზე მოსული და მხიარულ ხასიათზე იყო. ფატი ექიმმა ბოლომდე უპატრონა და თავისი ხელით ჩასვა რეანომობილში, თბილისში გაამგზავრა ყელის არეში შეშუპების თავის ასარიდებლად. ბაკურიანის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი პატარა გადაერჩინათ და გადაარჩინეს კიდეც. შემიძლია ვთქვა, რომ სიკვდილს გამოჰგლიჯეს ხელიდან.

ულრმესი მადლობა ფატი ექიმს და ბაკურიანის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალს მთლიანად!

# დაიწყო მიწის სისტემური რეფორმა




**მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა მოიცავს:**

- **59 მუნიციპალიტეტს;**
- **ათასზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს;**
- **4000-ზე მეტ დასახლებას.**

**მიწის რეგისტრაციის პროცესი:**

- **სრულიად უფასოა მოქალაქეებისთვის;**
- **ხელმისაწვდომია, მათ შორის, ემიგრანტებისთვისაც.**

**მიწის რეგისტრაციის შემთხვევაში მოქალაქეებს სოციალური სტატუსი არ მოეხსნებათ.**

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**

**გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**

**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**

**ნომრის პასუხისმგებელი** რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.**

borjomi@inbox.ru